

# დავნილება კოვიდ-19-ის პირისპირ



ავტორი: გვანცა საკანელაშვილი  
რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი  
დიზაინი: შპს „ბიარტი“



## შესავალი

კოვიდ-19-მა მთელ მსოფლიოზე იქონია გავლენა, თუმცა სხვადასხვა ქვეყანასა თუ ჯგუფზე ეს სხვადასხვაგვარად გამოიხატა. განსაკუთრებული, არაპროპორციული ზემოქმედება პანდემიამ მოწვევლად ჯგუფებზე მოახდინა.<sup>1</sup> ჰუმანიტარული კრიზისების შედეგად დაზარალებულებს, დევნილებს, განსაკუთრებით კი კოლექტიურ ჩასახლებებში მაცხოვრებლებს, ხშირად აქვთ გამოწვევები, მათ შორის, ზოგადად, მოსახლეობისგან განსხვავებული მოწვევადობა, რაც ჯანმრთელობასა და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე კოვიდ-19-ის გავლენის შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა. თუ მიღებული არ იქნება სათანადო ზომები, დევნილები და იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც ისედაც განიცდიან უთანასწორობას,<sup>2</sup> კიდევ უფრო მეტი პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიზანია კოვიდ-19-ის პანდემიის დროს დევნილთა წინაშე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება, სახელმწიფო უწყებების მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობის შესწავლა და, საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით, დევნილთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების შემუშავება.

ანგარიშის მიზნებისთვის გაანალიზებულია დევნილთა უფლებებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური ანტიკრიზისული გეგმა, ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშები. დევნილებზე კოვიდ-19-ის გავლენის სიღრმისეული კვლევისთვის საიამ ჩაატარა ფოკუსჯგუფის შეხვედრები.<sup>3</sup>

## კოვიდ-19-ის პანდემიისგან დევნილთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები

დევნილები, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მოწვევლადი ჯგუფი, პანდემიის დაწყებისთანავე საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მოექცნენ. მათ, დევნილთა საჭიროებების გათვალისწინებით, აქტიურად დაიწყეს სახელმძღვანელო პრინციპებისა და რეკომენდაციების შემუშავება სახელმწიფოებისთვის.

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობების მიერ, ამავე მოძრაობების დელეგატთა საბჭოს 2019 წლის 8 დეკემბრის რეზოლუციაზე<sup>4</sup> დაყრდნობით, განისაზღვრა კოვიდ-19-ის პანდემიის დროს იძულებით გადაადგილებულ პირებში ვირუსის გავრცელების მაღალი რისკის მიზეზები.<sup>5</sup> მათ შორის, დასახელდა:

- 1 მჭიდრო საცხოვრებელი გარემო;
- 2 არასათანადო სანიტარიულ/ჰიგიენური პირობები;
- 3 ცუდი კვება და ჯანმრთელობის პრობლემები;
- 4 საგანგებო მდგომარეობით დაწესებული შეზღუდვების გავლენა ეკონომიკურ ვითარებაზე და ა.შ.

1. OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), Report "OSCE Human Dimension Commitments and State Responses to the Covid-19 Pandemic", 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33AxiNF> [ბოლო ნახვა: 03.12.2020].

2. Dan Jezreel A. Orendain & Riyanti Djalante, Article „Ignored and invisible: internally displaced persons (IDPs) in the face of COVID-19 pandemic”, 06.08.2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qogwLk> [ბოლო ნახვა: 03.12.2020].

3. ფოკუსჯგუფში მონაწილეობდნენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები: საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“, ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“.

4. Council of Delegates of the International Red cross and Red Crescent Movement, Draft zero resolution, "Strengthening implementation of the Movement Policy on Internal Displacement: Ten years on", 08.12.2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ouyScj> [ბოლო ნახვა: 03.12.2020].

5. Red cross and Red Crescent Movement, „Reducing the Impact of the COVID-19 Pandemic on Internally Displaced People (IDPS). 05.2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33DxLij> [ბოლო ნახვა: 03.12.2020].



იძულებით გადაადგილებული პირების, ლტოლვილებისა და მიგრანტების უფლებების დასაცავად და კოვიდ-19-ით გამოწვეული პრობლემების შესამცირებლად გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა შეიმუშავა სპეციალური რეკომენდაციები,<sup>6</sup> რომელთა მიხედვით:

- სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ კონკრეტული ზომები, რომ მიგრანტები, დევნილები და ლტოლვილები ჩართონ კოვიდ-19-ის პრევენციაში, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობის, ტესტირებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას;
- სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ იძულებით გადაადგილებული პირების, ლტოლვილებისა და მიგრანტების თანაბარი ხელმისაწვდომობა საკვებზე, ჯანდაცვისა და სხვა აუცილებელ სერვისებზე.


გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის თანახმად, აუცილებელია სახელმწიფოებისთვის საერთაშორისო დახმარების გაწევა რეკომენდირებული ღონისძიებების შესასრულებლად. თუმცა, თითოეული სახელმწიფო უშუალოდ არის ვალდებული, მიიღოს ზომები კოვიდ-19-ის პრევენციისთვის და შესაბამისი დახმარება აღმოუჩინოს პანდემიის შედეგად დაზარალებულებს.

## დევილიები მთავრობის ანტიკრიზისულ გეგმაში

საქართველოს მთავრობის ანგარიშის მიხედვით,<sup>7</sup> მსოფლიოში კოვიდ-19-ის ფართოდ გავრცელების შემდეგ, 2020 წლის აპრილში, მთავრობამ წარადგინა პანდემიისა და მის შედეგებთან ბრძოლის ანტიკრიზისული გეგმა.<sup>8</sup> კონკრეტულად, იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა დახმარების პროგრამა მთავრობას არ შეუმუშავებია.

ანტიკრიზისული გეგმის პარალელურად, მთავრობამ წარმოადგინა ანგარიში კოვიდ-19-ის წინააღმდეგ გატარებული ზომების შესახებ. ანგარიშის მიხედვით, ვირუსის გავრცელების პრევენციის გარდა, პანდემიის შედეგების შემსუბუქების ღონისძიებები მოიცავდა მოქალაქეების სოციალურ მხარდაჭერას, მენარმეების დახმარებას, ეკონომიკის ხელშეწყობას, ამასთან, საერთაშორისო პარტნიორებთან ინტენსიურ მუშაობას ფინანსური ნაკადების მოსაზიდად. ანგარიშში, კონკრეტულად, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა დასახმარებლად გთვალისწინებულია უძრავი ქონების ერთჯერადი შესყიდვა, რაც გულისხმობს 150 მილიონი ლარის ღირებულების საცხოვრებელი უძრავი ქონების შეძენას 01/06/2020 - 01/01/2021 პერიოდში.<sup>9</sup> დევნილთა სათანადო საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა არ არის უშუალოდ კოვიდ-19-ის გავრცელების პირობებში ამ ჯგუფის დასახმარებლად შემუშავებული ღონისძიება.

გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით მათი უზრუნველყოფის წესი და კრიტერიუმები განსაზღვრულია 2013 წლიდან<sup>10</sup> და, წლებია, სახელმწიფო ამ მიზნით სხვადასხვა პროგრამას ახორციელებს. კონკრეტულად, 2020 წლის აგვისტოსა და სექტემბერში, ჯამში, 152 დევნილ ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართი.<sup>11</sup>



6. The Office of the High Commissioner for Human Rights, „COVID-19 Guidance“, 13.05.2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2JK18Z8> [ბოლო ნახვა: 04.12.2020].

7. საქართველოს მთავრობის ანგარიში, მაისი 2020, გვ. 5. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2loabyA> [ბოლო ნახვა: 07.12.2020].

8. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის განცხადება „გიორგი გახარიამ ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა წარადგინა“, 24.04.2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ovnzBZ5> [ბოლო ნახვა: 07.12.2020].

9. საქართველოს მთავრობის ანგარიში, მაისი 2020, გვ. 76. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2loabyA> [ბოლო ნახვა: 07.12.2020].

10. დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო, „დევილითა საკითხები“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3lOuiDO> [ბოლო ნახვა: 07.12.2020].

11. საქართველოს მთავრობის განცხადება „115 დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ფართები საკუთრებაში გადაეცა“, 13.08.2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33SWb7B> [ბოლო ნახვა: 07.12.2020]. საქართველოს მთავრობის განცხადება „კიდევ 37 ოჯახს გორსა და ხაშურში ბინები გადაეცა“, 13.08.2020. <https://bit.ly/33SWb7B> [ბოლო ნახვა: 07.12.2020].

## კოვიდ-19 და დევნილთა გამწვავებული პრობლემები



დევნილებზე კოვიდ-19-ის გავლენის სიღრმისეული კვლევისთვის საიამ მიმართა ფოკუსჯგუფის მეთოდს დევნილთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.<sup>12</sup> შედეგად, გამოიკვეთა, რომ დევნილთა ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი ქვეყანაში კოვიდ-19-ის გავრცელების შემდეგ კიდევ უფრო დამძიმდა. ფოკუსჯგუფის მონაწილეთა ინფორმაციით, დევნილ ოჯახებში, ძირითადად, მხოლოდ ერთი წევრია დასაქმებული. მათი დიდ ნაწილი კი მომსახურების სფეროში მუშაობს. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და ბიზნესსაქმიანობის შეჩერების გამო, იქ მომუშავე დევნილები ყოველგვარი შემოსავლის წყაროს გარეშე დარჩნენ.

**„ანტიკრიზისულ გეგმაში დევნილთა დახმარება არ იყო გათვალისწინებული. რაც სხვაებს, ის დევნილებს – ასეთი იყო სახელმწიფოს პოლიტიკა“.**

**„ეკონომიკური მდგომარეობა დამძიმდა ენგურზე ე.წ. საზღვრის დაკეობის გამოც. მოსახლეობა, რომელიც მცირე ბიზნესით იყო დაკავებული (აფხაზეთში სავაჭროდ გადადიოდა), დარჩა ბაზარზე წვდომის გარეშე“.**

**„თქვენ ვერ წარმოიდგინეთ, როგორი რთული ვითარებაა დევნილთა კოლექტიურ ჩასახლებაში. როდესაც აღგიღზე ჩავდივარ, 2-3 კოლექტიურ ჩასახლებაზე მეტი მონახულება ვერ ვახერხებ, იმდენად რთული საცხოვრებელი პირობები აქვთ. კოლექტიურ ჩასახლებაში მცხოვრებ ადამიანებს არ აქვთ საკუთარი სვლი წერტილი – აბაგანა, ტუალეტი“.**

პანდემიის დროს კიდევ უფრო აქტუალური გახდა დევნილთათვის, განსაკუთრებით კი, კოლექტიურ ჩასახლებებში განთავსებული ადამიანებისთვის სათანადო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა. შენობების ნახევარი გადაუდებელ რემონტს საჭიროებს, ხოლო ზოგიერთი, ფაქტობრივად, უვარგისია საცხოვრებლად და იქ ყოფნა შეუძლებელია. ასეთ პირობებში კი ძალიან რთულია ჰიგიენის დაცვასთან დაკავშირებით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული რეკომენდაციების შესრულება.

ფოკუსჯგუფში მონაწილეთა მოსაზრებით, სახელმწიფოს არ ჰქონდა გეგმა უშუალოდ დევნილთა ჩასახლებებში კორონავირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით. იქ მცხოვრებ ადამიანებს არ ჰქონდათ შესაბამისი წვდომა სამედიცინო სერვისებზე. ჩასახლებების ნაწილში არ ფუნქციონირებდა ოჯახის ექიმის კაბინეტი, ხოლო სადაც ექიმი იყო, მას არ ჰქონდა სათანადო აღჭურვილობა დახმარების აღმოსაჩენად.<sup>13</sup> ასევე, დევნილებს სათანადოდ ხელი არ მიუწვდებოდათ სადებინფექციო და თავდაცვის საშუალებებზე.

**„თავიდან საშინელი პანიკა იყო. ქალებმა, რომლებსაც საკარავი მანქანა ჰქონდათ, პირადად შიშობდნენ დაიწყეს“.**

**ვიცი, რომ მსგავსი საშუალებებით არასამთავრობო ორგანიზაციები ეხმარებოდნენ მოსახლეობას“.**

პანდემიის პერიოდში, დევნილი ბავშვებისა და სტუდენტებისთვის გამოწვევად იქცა განათლებაზე ხელმისაწვდომობა. მათ გარკვეულ ნაწილს საერთოდ არ ჰქონდა კომპიუტერი. ზოგ შემთხვევაში კი განათლების ონლაინ მისაღებად ოჯახში საკმარისი რაოდენობის მონყობილობა არ იყო (მაგალითად, ოჯახში 2-3 ახალგაზრდის ყოფნისას). გამომწვევას წარმოადგენდა ასევე ინტერნეტის ხელმისაწვდომობა. არც განათლების სამინისტროს და არც დევნილთა სააგენტოს არ ჰქონია რამე კონკრეტული გეგმა ამ პრობლემებთან გასამკლავებლად.

12. ფოკუსჯგუფში მონაწილედნენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები: საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“, ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“.

13. ფოკუსჯგუფში გამოთქმული მოსაზრება.



## დასკვნა

კოვიდ-19-მა განსაკუთრებული გავლენა იქონია იმ იძულებით გადაადგილებული პირების მდგომარეობაზე, რომლებსაც სათანადოდ ხელი არ მიუწვდებოდა აუცილებელ საბინაო სერვისებზე, ღირსეულ შემოსავალზე, ჰიგიენურ და ვირუსისგან თავდაცვის საშუალებებზე. პანდემიის შედეგები მათ მიმართ შეიძლება კრიტიკული იყოს. მიუხედავად იმისა, რომ დევნილებზე კორონავირუსით გამომწვეული კრიზისის გავლენის სრულად შეფასება ჯერ ალბათ ნაადრევია, პანდემიისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლოა, გაიზარდოს დევნილთა მონყვლადობა და ახალი რისკების წარმოშობის საფრთხეები. კოვიდ-19-ის უშუალო გავლენა გრძელვადიან სოციალურ და ფინანსურ შედეგებზე ნიშნავს, რომ დევნილებს უფრო მეტი დახმარება სჭირდებათ, ვიდრე ოდესმე.

გადაადგილებასთან დაკავშირებული აკრძალვები და სხვა ზომები, რომლებიც ქვეყნების მიერ პანდემიის საპასუხოდ არის დაწესებული, პირდაპირ აისახება დევნილთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მცირდება ან საერთოდ იკარგება საარსებო წყაროები. იზღუდება ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა. ბევრ თემში, სადაც იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა ცხოვრობს, არ აქვთ ადეკვატური ინვესტიციები ჯანმრთელობის, წყლისა და სანიტარული ინფრასტრუქტურის მიმართულებით. სოციალური ფონის გაუარესება არა მხოლოდ ზრდის ჰუმანიტარულ საჭიროებას, არამედ ამძაფრებს დევნილთა პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას.<sup>14</sup>

14. International Organization for Migration (IOM), Situation Report „COVID-19: Impact on IDPs“, 16.10.2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qrPsvC> [ბოლო ნახვა: 03.12.2020].

## რეკომენდაციები

იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და კოვიდ-19-ის შედეგად მიყენებული ზიანის შესამცივებლად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- 1** დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ უნდა შეიმუშაოს დევნილებისთვის კოვიდ-19-ის შედეგად შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამჭობრების მიზნობრივი პროგრამები;
- 2** დაჩქარდეს (განსაკუთრებით, კოლექტიურ ჩასახლებებში არსებული საცხოვრებლად საშიში შენობებიდან) დევნილთა სათანადო საცხოვრებელ გარემოში განთავსების ღონისძიებები;
- 3** შესაბამისი სამინისტროების კოორდინირებული მუშაობით დევნილი ახალგაზრდებისთვის უზრუნველყოფილი იყოს განათლებაზე სათანადო ხელმისაწვდომობა;
- 4** დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს კოლექტიურ ჩასახლებებში მცხოვრები დევნილების წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე;
- 5** დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დევნილები, როგორც განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი (არასათანადო ჰიგიენური პირობები, მჭიდრო დასახლება) პირები, შეიყვანოს პერიოდული ტესტირებისა და ვაქცინაციის საჭიროების მქონე მოქალაქეთა ჩამონათვალში.